ოქმი:**ო63.63212522**
თარიღი:**09/09/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 41

ქ. სამტრედია. 6 სექტემბერი, 2021 წელი.

2021 წლის 6 სექტემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,

ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, მანანა სირბილაძე, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, ტარიელ დვალიშვილი, ვ.კოხრეიძე მ/შ, ვაჟა სტურუა, ლიზა კრავეიშვილი, ილია მჟავია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მ.შ.

   ირაკლი გეგეშიძე.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბეჟან გეგეშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე : შ. არზუმანიანი /

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 172 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე : შ. არზუმანიანი /

3. ,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე : შ. არზუმანიანი /

4. 2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე : მ. უღრელიძე /

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს გაუქმების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ: ლ.კრავეიშვილი/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-სოციალ დემოკრატები"-ს გაუქმების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ: ლ.კრავეიშვილი/

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მაჟორიტარები"-ს გაუქმების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ: ლ.კრავეიშვილი/

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,მაჟორიტარები"-ს რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ: ლ.კრავეიშვილი/

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერატორები"-ს სახელის შეცვლისა და ფრაქცია „'სამტრედიელი“-ს

დარქმევის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ: ლ.კრავეიშვილი/

10. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N38 192 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ: ლ.კრავეიშვილი/

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის პერიოდის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი, ნოე ივანიაძე, თანამომხსენებელი: მ.უღრელიძე /

12. . სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის, 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის პერიოდის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი: ნატალია მანჯგალაძე, თანამომხსენებელი: ბ. შენგელია /

13. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, 2021 წლის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ბეჟან გეგეშიძე, თანამომხსენებელი: მ.სირბილაძე /

14. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, ბიუროს წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის **N:12-63212222-63** 10.08.2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ინფორმაციას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ივნისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ივლისის თვის შემოსავალმა შეადგინა 10512,2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 74.8%-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 10423,4 ათასი ლარი, რაც ივლისის თვის გეგმის 74.4 %-ია, აქვე უნდა ავღნიშნოთ , რომ დ.ღ.გ.საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 5140,5 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 90.5 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 60,7 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 60.7 %-ით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ.

დაადგინეს: ინფორმაციას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის

ივლისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ, მიღებულია ცნობად. კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, ბიუროს წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის **N:12-63212388-63** 26/08/2021 წ. წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანებას 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, კვების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 10.0 ათ.ალარით, კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 3.9 ათ.ლარით, სულ 13.9 ათ.ლარით, შესაბამისად ტრანსპორტის დაქირავების ხარჯის მუხლში თანხა გაიზარდა 1.0 ათ.ლარით, თხევადი აირის ხარჯის თანხა 3.0 ათ.ლარით, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის მოვლა-შენახვის ხარჯის მუხლის თანხა 0.5 ათ,ლარით, სამედიცინო ხარჯის მუხლში თანხა გაიზარდა 1.4 ათ.ლარით, შრომითი ხელშეკრულების ხარჯის მუხლში თანხა 8.0 ათ.ლარით, სულ 13.9 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, ბიუროს წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N: 62-622123887 26/08/2021 წ. წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება ა.ა(ი).პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, მანქანა-დანადგარების და ინვენტარის მუხლში თანხა მცირდება 4.10 ათ. ლარით და შესაბამისად არასაცხოვრებელი შენობების მუხლში თანხა იზრდება 4.10 ათ. ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N62-622122344 11/08/2021 წ. წერილობითი მომართვა,

რომელიც ეხება 2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 29 ივლისის საკრებულოს სხდომაზე მიღებულია განკარგულება Nგ-63.63212103, რომელშიც სოფელ ბაშში, მერიის მომართვის შესაბამისად, გარე განათების მოწყობისათვის გათვალისწინებული იყო 19012 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერის N62-622122344 11/08/2021 წ. წერილობითი

მომართვიდან ირკვევა, რომ
საკრებულოს განკარგულების №-63.63212103. 29/07/2021 წ. დანართში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, სოფელ ბაშში გარე განათების სამუშაოების ღირებულება ნაცვლად 19012 ლარისა უნდა იყოს 19387 ლარი. მიზანშეწონილად მიაჩნიათ განკარგულებაში განხორციელდეს შესაბამისი კორექტირება.
მინდა ავღნიშნო, რომ საკრებულოს განკარგულებაში ჩვენს მიერ არ ყოფილა დაშვებული არანაირი ტექნიკური შეცდომა. ზემოთ აღნიშნული განკარგულების პროექტი (19012 ლარით) მოწოდებული იყო მერიისაგან.
საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მიუხედავად იმისა, რომ ხარვეზი საკრებულოს ბრალეულობა არ არის, საჭიროებას წარმოადგენს მომართვის შესაბამისად, განკარგულებაში მოვახდინოთ კორექტირება, მომზადდეს შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად შეტანილ იქნეს ცვლილება ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში

და დანართი №1 (სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები

№	ადმინისტრაციული ერთეული / სოფელი	პროექტის დასახელება	საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა	თანადაფინანსება	პროექტის ღირებულება	საპროექტო-სახარჯთა ღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება მთლიანი თანხის - 2,5%)
1	2	3	4	5	6	7
1	სოფელი ბაში	გარე განათების მოწყობა	20 000		19387	488
		სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია			0	125
2	სოფელი იანეთი	სოფელში გარე განათების მოწყობა	20 000	20 000	39000	1000
3	სოფელი დიდი ჯიხაიში	გარე განათების მოწყობა	20 000	20 000	39000	1000
4	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი გვიმრალა	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	12 000	12 000		
5	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება	16 000	16 000		

	ახალსოფელი	(ერთობლივი საპროექტო წინადადება)				
6	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი ჯიქთუბანი	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	12 000	12 000	144300	3700
7	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი კეჭინარი	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	12 000	12 000		
8	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი ოჭოფა	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000	10 000		
9	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი პატარა ეწერი	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	12 000	12 000		
10	მელაურის ადმ. ერთეული/სოფელი მელაური	სანიაღვრე არხის გაჭრა	12 000		3900	100
		სანიაღვრე არხისთვის 2 ცალი მილ-ბოგირის (1000მმ*6მ) შეძენა			2000	0
		გარე განათების ბოძების შეცვლა			1462,5	37,5
		ამბულატორიის შენობისთვის სველი წერტილების რეაბილიტაცია			4387,5	112,5
11	მელაურის ადმ. ერთეული/სოფელი მიწაბოგირა	სკვერის შემოსაღობად აგურის შეძენა	16 000		16000	0
12	მელაურის ადმ. ერთეული/სოფელი ხიბლარი	სპორტული მოედნის მოწყობა	16 000		15600	400
13	დაბა კულაში	გზისპირა მოსაცდელის მოწყობა	20 000		4875	125
		სპორტული მოედნის რეაბილიტაცია			14235	365
		სპორტული მოედნისთვის ბალახის საკრეჭი აპარატის შეძენა			400	0
14	ნაბაკევის ადმ. ერთეული/სოფელი ჩხენიში	სოფელში სპორტული სავარჯიშო მოწყობილობების შეძენა-მონტაჟი	16 000	16 000	25000	0
		სკვერის შემოღობვა და კეთილმოწყობა			5850	150
		სკვერის შემოღობვა და კეთილმოწყობა			6825	175
15	ნაბაკევის ადმ. ერთეული/ სოფელი ნაბაკევი	გარე განათების ნათურების ახალი ნათურებით შეცვლა	16 000		9750	250
		სკვერში ატრაქციონის შეძენა-მონტაჟი			6000	0
16	ნაბაკევის ადმ. ერთეული/სოფელი ხუნჯულაური	არსებული გზისპირა მოსაცდელის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია	12 000		4875	125
		გარე განათების ნათურების ახალი ნათურებით შეცვლა			6825	175
17	ნაბაკევის ადმ. ერთეული/სოფელი ნინუაკუთხე	სკვერის კეთილმოწყობა	16 000		15600	400
18	ნაბაკევის ადმ. ერთეული/სოფელი კვირიკე	სკვერის კეთილმოწყობა	12 000		11700	300
	ღანირის ადმ.	წმ. გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე			16575	425

19	ერთეული/სოფელი ღანირი	გარე განათების მოწყობა	20 000			
		სკვერის რეაბილიტაცია			2925	75
20	ღანირის ადმ. ერთეული/სოფელი ჭაგანი	გარე განათების მოწყობა	16 000		15600	400
21	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი დაბლა გომი	გარე განათების მოწყობა	16 000		13650	350
		ე.წ. გაღმა ჩხაიძეების უბანში გზის მოხრეშვა			1950	50
22	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი კეთილაური	გარე განათების მოწყობა	10 000		7117,5	182,5
		გზის მოხრეშვა-მოსწორება			2437,5	62,5
		დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)			200	0
23	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი ცივწყალა	გზის მოხრეშვა	10 000		8775	225
		გომმუხაყრუას საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა			1000	0
24	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი გომმუხაყრუა	გარე განათების მოწყობა ე.წ. ნადირაძეების უბანში	12 000		6045	155
		სარწყავი წყლის ჭაბურღილის მოწყობა ე.წ. ყენიების უბანში			4095	105
		ელექტრო წყლის ტუმბოს შეძენა			800	0
		ბეტონის 1000*500*500მმ ღარის შეძენა			800	0
25	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი დაბლა ეწერი	გარე განათების მოწყობა	10 000		9457,5	242,5
		დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)			300	0
26	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი ზედა ეწერი	გარე განათების მოწყობა	12 000		8970	230
		გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა-მოსწორება)			2437,5	62,5
		დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)			300	0
27	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი კორმაღალი	გარე განათების მოწყობა	12 000		9847.5	252.5
		5 ტონიანი პლასტმასის ავზის შეძენა			1700	0
		დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)			200	0
28	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი მთისძირი	გარე განათების მოწყობა	16 000		15600	400
29	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი დაფნარი	გარე განათების მოწყობა	16 000		7800	200
		ფოლადის ემალირებული 16 ტონიანი ავზის შეძენა			6000	0
		ე.წ. ჯაშების დასახლებაში გზის მოხრეშვა			1950	50
30	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი გომნატეხები	გარე განათების მოწყობა	12 000		11700	300
31	გომის ადმ. ერთეული/ სოფელი დობირო	გარე განათების მოწყობა	10 000		7507,5	192,5
		გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა-მოსწორება)			1950	50
		დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)			300	0

32	საჯავახოს ადმ. ერთეული/ სოფელი პირველი ნიგორწღვა	გარე განათების მოწყობა	12 000	12 000	23400	600
33	საჯავახოს ადმ. ერთეული/ სოფელი მეორე ნიგორწღვა	გარე განათების მოწყობა	10 000	10 000	19500	500
34	საჯავახოს ადმ. ერთეული/ სოფელი ჭოგნარი	გარე განათების მოწყობა	12 000	12 000	23400	600
35	საჯავახოს ადმ. ერთეული/სოფელი საჯავახო	გარე განათების მოწყობა	16 000	16 000	31200	800
36	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ტოლები	გარე განათების მოწყობა	10 000		9750	250
37	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ზემო ტოლები	გარე განათების მოწყობა	10 000		9750	250
38	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ბუღნარა	გარე განათების მოწყობა	12 000		11700	300
39	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ქორეისუბანი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	10 000		9750	250
40	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ვაზისუბანი	გარე განათების მოწყობა	16 000		15600	400
41	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ქვემო ნოღა	გარე განათების მოწყობა	12 000	12 000	23400	600
42	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ზემო ნოღა	გარე განათების მოწყობა	12 000	12 000	23400	600
43	სოფელი გორმაღალი	სპორტული მოედნის მოწყობა	16 000	16 000	31200	800
44	სოფელი გამოჩინებული	გარე განათების მოწყობა	10 000		9750	250
45	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი თხილაგანი	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000		58500	1500
46	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი წიაღუბანი	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000			
47	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი მტერჩვეული	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000			
48	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი ნაწილი ოფეთი	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000			
49	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი პატარა ოფეთი	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000			
50	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების	10 000			

	დიდი ოფეთი	რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)				
			660 000	220 000	859412(799 412 სამუშაოები)	20 588

აზრი გამოთქვეს: ნუგზარ ჯამბურიამ, მანანა სირბილაძემ, ვაჟა სტურუამ და ილია მჟავიამ.

ნუგზარ ჯამბურია - როგორც მოგეხსენებათ, პროექტში მითითებული სამუშაოების დასრულების თარიღი უმეტეს შემთხვევაში არის სექტემბერი. მოესწრება თუ არა ამ მასშტაბის სამუშოების შესრულება? ვფიქრობ, რომ არა, რაც გარკვეულ პრობლემებს შექმნის. ჩვენ გარკვეული დაპირება მივეცით მოსახლეობას და როდესაც იმ პროექტებს ვახორციელებთ, რომელიც თვითონ მოსახლეობამ შემოგვთავაზა, ვფიქრობ, რომ ამ პროექტების შეუსრულებლობა იქნება მათი ღალატი, რომელიც გარკვეულწილად ასახვას პოვებს არჩევნებზე. მე როგორც მოქალაქე, ჩემს ადმინისტრაციულ ერთეულში, კოლეგებთან ერთად, შევხვდით ადგილობრივ მოსახლეობას. განვიხილეთ მინი მოედნის მოწყობის საკითხი. ჯერ-ჯერობით იქ აბსოლუტურად არაფერი არ არის დაწყებული. მეკითხებიან, როდის დაიწყება ბატონო ნუგზარ? მეც ვპასუხობ, რომ დაიწყება ხვალ, ზეგ. თუ სამუშაოები არ დაიწყება და არ შესრულდება, პირადად მე ძალიან ცუდ სიტუაციაში აღმოვჩნდები. ასეთი რამ სხვა ადმინისტრაციულ ერთულებსიც იქნება და ეს ძალიან ცუდია.

მერაბ უღრელიძე - ამ პროექტების განხილვასა და შემდგომ მიმდინარეობაზე მერიასთან ერთად სოფლის დეპუტატები და წარმომადგენლები არიან ჩართულები და რა ხდება ნამდვილად არ ვიცი. რა ხელშემშლელი პირობებია ზუსტად ვერ გეტყვით.

ვაჟა სტურუა - ყოველ წელს ამ პერიოდისათვის, თითქმის დამთავრებული იყო სოფლის პროგრამებით გათვალისწინებული სამუშაოები. მერი და პირადად მეც, სოფლის წარმომადგენელთან ერთად ჩართული ვართ პროექტების განხორციელების საქმეში, მაგრამ წელს შემოვიდა საპროექტო ორგანიზაცია ,,კეისარი'', რომელმაც 6 თვის განმავლობაში პროექტი ვერ დაასრულა და ელექტრონული ვერსია ვერ მიაწოდა, რომ ხელშეკრულება დადებულიყო. ამასთან ისეთი პროექტი გააკეთა, რომელსაც არავიან არ მიიღებდა. ამან მიგვიყვანა დღემდე რა მდგომარეობაშიც ვართ. ეხლა ბუნებრივი პირობები იქნება ხელის შემშლელი პრობლემა და კიდევ გადაიდება სამუშაოების შესრულება. მე თავად დიდი ბრძოლის შედეგად, სულ რამდენიმე დღის წინ, ძლივს მივაღწიე იმას, რომ ხელშეკრულება დადებულიყო. ტრანსფერი რომ მიიღო მუნიციპალიტეტმა, ჩვენ თითქმის ყოველ მეორე დღეს ვატარებდით ბიუროს და საკრებულოს სხდომებს, რათა ხელის შემშლელი პირობები, რომ არ ქონოდათ, მაგრამ შედეგი მაინც იგივეა.

მანანა სირბილაძე - სასურველი იყო აღნიშნულთან დაკავშირებით დროულად ჩაგვეყენებინა საქმის კურსში გუბერნია. კოლეგებო, საქმე რაშია იცით? აპრილის თვეში რომ გაკეთდა ეს ყველაფერი, გადაწყდა სოფლის მხხარდაჭერის პროექტებით განსახორციელებელი სამუშაოები და სექტემბერია დღეს და არაფერი არ არის გაკეთებული, ერთი თვის შემდეგ უნდა აგეტეხათ განგაში. აი იქედან დავიწყებდი ამ ხალხის სამართლებრივ დევნას. დღეს ამ დღეში არ იქნებოდით. პრემიერიდან დაწყებული ყველას უნდა გაეგო ეს ამბავი. როგორ ფიქრობთ ოქტომბრამდე დასრულდება ყველაფერი მაშინ, როდესაც დღემდე არაფერია დაწყბული? საკრებულოზე და ბიუროზე ამის ლაპარაკს არა აქვს აზრი, მთავარია ქმედება.

ილია მჟავია - მიუხედავად იმისა, რომ პროექტი ჩვენთან მზადაა, სამუშაოები მაინც არ არის დაწყებული. სამჯერ მომიყვანეს, შეცვალეს

პროექტი და მომაწერინეს ხელი. არ ვიცი ეს სადამდე გასტანს.
პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ლიზა კრავეიშვილმა, ბიუროს წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარის, ლიზა კრავეიშვლის **N:63-63212376 25/08/2021 წ.** განცხადება, რომელიც ეხება ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს გაუქმების საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფრაქციას ,,ქართული ოცნება-მრეწველები", განცხადებით მიმართა ამავე ფრაქციის წევრმა, ბადრი შენგელიამ. განმცხადებელი ითხოვს ფრაქციიდან გასვლას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N12 დადგენილების 36--ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, ფრაქცია ითვლება გაუქმებულად თუ ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შედეგად, მასში გაერთიანებული დარჩა საკრებულოს სამ წევრზე ნაკლები. შესაბამისად ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მრეწველები", გაუქმებულია.

გთხოვთ, აღნიშნული მიიღოთ ცნობად.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. კომისია თანახმაა გაუქმდეს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები''. აღნიშნულის შესახებ ეცნობის საჯარო სამსახურის ბიუროს და მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ლიზა კრავეიშვილმა, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-სოციალ დემოკრატები"-ს თავმჯდომარის, ილია მჭავიას, **N:63-632123710 25/08/2021 წ.** განცხადება. განმცხადებელი ითხოვს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-სოციალ დემოკრატები"-ს გაუქმებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფრაქციას ,,ქართული ოცნება-სოციალ დემოკრატები", განცხადებით მიმართა ამავე ფრაქციის წევრმა, ბაია იმესაშვილმა. განმცხადებელი ითხოვს ფრაქციიდან გასვლას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N12 დადგენილების 36--ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, ფრაქცია ითვლება გაუქმებულად თუ ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შედეგად, მასში გაერთიანებული დარჩა საკრებულოს სამ წევრზე ნაკლები. შესაბამისად ფრაქცია ,,ქართული ოცნება - სოციალ დემოკრატები", გაუქმებულია.

გთხოვთ, აღნიშნული მიიღოთ ცნობად.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. კომისია თანახმაა გაუქმდეს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-სოციალ-დემოკრატები''. აღნიშნულის შესახებ ეცნობის საჯარო სამსახურის ბიუროს და მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს. განხორციელდეს ცვლილება ბიუროს შემადგენლობაში.
პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ლიზა კრავეიშვილმა, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მაჟორიტარები"-ს თავმჯდომარის, **N:63-632123713 25/08/2021 წ.** ვაჟა სჩურუას, განცხადება. განმცხადებელი ითხოვს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მაჟორიტარები"-ს გაუქმებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფრაქციას ,,ქართული ოცნება-მაჟორიტარები" განცხადებით მიმართა ამავე ფრაქციის წევრმა, ხვიჩა ფანცულაიამ. განმცხადებელი ითხოვს ფრაქციიდან გასვლას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N12 დადგენილების 36--ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, ფრაქცია ითვლება გაუქმებულად თუ ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შედეგად მასში გაერთიანებული დარჩა საკრებულოს სამ წევრზე ნაკლები. შესაბამისად ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მაჟორიტარები", გაუქმებულია.

გთხოვთ, აღნიშნული მიიღოთ ცნობად.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. კომისია თანახმაა გაუქმდეს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მაჟორიტარები''. აღნიშნულის შესახებ ეცნობის საჯარო სამსახურის ბიუროს და მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს.განხორციელდეს ცვლილება ბიუროს შემადგენლობაში.
პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ლიზა კრავეიშვილმა, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,მაჟორიტარები"-ს თავმჯდომარის, ხვიჩა ფანცულაიას, **N:19/63212495-63 06/09/2021 წ.** განცხადება. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ შეიქმნა ფრაქცია ,,მაჟორიტარები" და ითხოვს, ბიუროს მიერ ფრაქციის რეგისტრაციაში გატარებას.
საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. კომისია თანახმაა შეიქმნას ფრაქცია ,,მაჟორიტარები'' და გატარდეს რეგისტაციაში.
ფრაქციის შემადგენლობა განისაზღვრა 3 წევრით: ხვიჩა ფანცულაია (თავმდჯომარე), ბაია იმესაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), კოტე ნაცვლიშვილი (წევრი). აღნიშნულის შესახებ ეცნობის საჯარო სამსახურის

ბიუროს და მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს. განხორციელდეს ცვლილება ბიუროს შემადგენლობაში.
პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ლიზა კრავეიშვილმა, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერატორები"-ს თავმჯდომარის, რაჟდენ ჩორონჯაძის, **N:63-63212387 26/08/2021 წ.** განცხადება. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ შეეცვალა სახელი ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორებ"-ს და ეწოდა ფრაქცია „'სამტრედიელი“.
საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. კომისია თანახმაა შეეცვალოს სახელი ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორებ"-ს და ეწოდოს ფრაქცია „სამტრედიელი“. აღნიშნულის შესახებ ეცნობის საჯარო სამსახურის ბიუროს და მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს. განხორციელდეს ცვლილება ბიუროს შემადგენლობაში.
პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ლიზა კრავეიშვილმა, ბიუროს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N38 192 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
განკარგულებაში ცვლილება განპირობებეულია ზემოთ აღნიშნულ ფრაქციებში ცვლილებების გამო.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად შეტანილ იქნას ცვლილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N38 192 განკარგულებაში.

დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემდეგი შემადგენლობა:

1. ნუგზარ ჯამბურია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
2. კობა ძიძიგური - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
3. მანანა სირბილაძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
4. შალვა არზუმანიანი - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
5. მერაბ უღრელიძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
6. ბადრი შენგელია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

7. გიორგი ლეჟავა - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
8. ტარიელ დვალიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარე.
9. ემზარ შუბლაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს თავმჯდომარე.
10. რაჟდენ ტორონჯაძე - ფრაქცია ,,სამტრედიელი''-ს თავმჯდომარე.
11. დავით ამაღლობელი - ფრაქცია ,,სამტრედიელი პატრიოტები''-ს თავმჯდომარე.
12. ხვიჩა ფანცულაია - ფრაქცია ,,მაჟორიტარები''-ს თავმჯდომარე.
13. ავთანდილ თადუმაძე - ფრაქცია ,,ჩვენი სამტრედია''-ს თავმჯდომარე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი გეგეშიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შესახებ.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ.

დაადგინეს: ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შესახებ, მიღებულია ცნობად. კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ბადრი შენგელიამ, ბიუროს წევრებს გააცნო ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის, 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ.

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ.

დაადგინეს: ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის, 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ.კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ბეჟან გეგეშიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო ანგარიში,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, 2021 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოების შესახებ.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპოცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ.

აზრი გამოთქვეს: მანანა სირბილაძემ და ლიზა კრავეიშვილმა.

დაადგინეს: ანგარიში,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, 2021 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოების შესახებ. მირებულია ცნობად. კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის დასასრულს ზურაბ გოგიამ გააკეთა განმარტებები ყველა იმ შეკითხვებთან დაკავშირებით, რომელის ბიუროს წევრებს გააჩნდათ.

ნუგზარ ჯამბურიან აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეის მერიის სამსახურების: 1. ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის. 2. განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის და 3. ადმინისტრაციული სამსახურის, 2021 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოების შესახებ, ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად და საკითხები შემდგომი მოსმენისათვის შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანალიზის შესახებ.

   /მომხსენებელი: საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე : შ. არზუმანიანი /

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 172 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /მომხსენებელი: საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე : შ. არზუმანიანი /

3. ,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ‘‘, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /მომხსენებელი: საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე : შ. არზუმანიანი /

4. 2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ‘‘, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე : მ. უღრელიძე /

5. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N38 192 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის განმავლობაში ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ნოე ივანიაძე/

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის განმავლობაში ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი: ნატალია მანჯგალაძე/

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის განმავლობაში ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ბეჟან გეგეშიძე/

9. სხვადასხვა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით საკრებულოს სხდომა გაიმართება 2021 წლის

6 სექტემბერს, 15^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი